დმანისის მუნიციპალიტეტის მერი
ბრძანება

ბრძანება:**ბ108. 108231023**
თარიღი:**12/04/2023**

[redacted] დაჯარიმების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე

მუხლის მე-3ნაწილის "ა" ქვეპუნქტის, დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 მარტის N 14 დადგენილების მე-7 მუხლის და ამავე მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის სამსახურის 2023 წლის 11 აპრილის N06-108231013 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 მარტის N 14 დადგენილების მე-7 მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევის გამოვლენის საფუძველზე, ქალაქის ქუჩებში, ბაღებში, პარკში, სკვერში, გაზონებში წვრილფეხა ან/და მსხვილფეხა პირუტყვის მეთვალყურეობის ქვეშ ან მეთვალყურეობის გარეშე ყოფნის გამო, დაჯარიმდეს 100 (ასი) ლარის ოდენობით, ქალაქ დმანისში წმინდა ნინოს ქN 8-ში მცხოვრები [redacted]

2. განემარტოს სამართალდამრღვევს, რომ იგი ვალდებულია დაკისრებული ჯარიმა გადაიხადოს ამ ბრძანების კანონით დადგენილი წესით ჩაბარებიდან 30 (ოცდა ათი) კალენდარული დღის ვადაში შემდეგ რეკვიზიტებზე: ბანკის კოდი: TRESGE22 სახაზინო კოდი: 300073263;

3. სამართალდამრღვევი ვალდებულია, მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ ვადაში, ჯარიმის გადახდის შემდეგ, დმანისის მუნიციპალიტეტის მერიაში წარმოადგინოს შესაბამისი გადახდის დამადასტურებელი ქვითარი. წინააღმდეგ შემთხვევაში ბრძანება დაექვემდებარება იძულებით წესით აღსრულებას;

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, გაცნობიდან 30- (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში ბოლნისის რაიონული სასამართლოში ან დმანისის მაგისტრატ სასამართლოში ქ. დმანისი, წმინდა ნინოს ქ. N42);

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;

კობა მურადაშვილი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი